ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №194532

ნომერი: AR146492

თარიღი : 14.05.2012

გაცემის თარიღი : 06.06.2012

გაცნობის თარიღი : 11.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქავთარაძე , N 1 , (ნაკვეთი N38/41) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით იმნაძე პ/ნ 01009002964
- თბილისი, გაზაფხულის ქ. #41

ორგანიზაცია:
- ვესტ ინვესტ კოდი: 202311104

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 თებერვლის №178 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის14 მაისს№AR146492 განცხადებით მომართა შპს"აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს რწმუნებულმა დავით იმნაძემ(30.05.2012წ. რწმუნებულება) და მოითხოვა 2011 წლის 18 თებერვლის№178 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლისთანახმად,

სამსახურმაშეისწავლასაქმისათვისარსებითიმნიშვნელობისმქონეგარემოებებიდადაადგინა, რომქ. თბილისისმერიისსსიპ– თბილისისარქიტექტურისსამსახურისმიერ2011 წლის18 თებერვალსქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოსრაიონი, ქავთარაძისქ. №1-შიარსებულ№38/41 მიწისნაკვეთზესაზოგადოებრივ-საქმიანზონა1-ში(სსზ-1) მრავალფუნქციურისავაჭროცენტრისასაშენებლადგაიცა№178 მიწისნაკვეთისსამშენებლოდგამოყენებისპირობები. აღნიშნულიინდივიდუალურიადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტიგაცემულიქნა17776 კვ.მ. მიწისნაკვეთზე, საკადასტროკოდით№01.14.03.038.041.

განცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში. საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შეადგენს 17681 კვ.მ-ს საკადასტრო კოდით №01.14.03.038.050 (ამონაწერის რეგისტრაციის №882012236511, მომზადების თარიღი 29.05.2012წ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012024179 მომზადების თარიღი 23.01.2012წ.). საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენობლო განვითარების ფუნქციური ზონა და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები უცვლელი დარჩა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, და ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 18.02.2011წ. №178 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიცვალოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი, მიეთითოს ახალი საკადასტრო კოდი და დაფიქსირდეს ახალი კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 თებერვლის №178 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართად 17776 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 17681 კვ.მ.. საკადასტრო კოდად მიეთითოს: №01.14.03.038.050 და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 თებერვლის №178 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერის რეგისტრაციის №882012236511, მომზადების თარიღი 29.05.2012წ., საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012024179 მომზადების თარიღი 23.01.2012წ.).
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 თებერვლის №178 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.